№ 153 კვირა, 12 ივლისი 1909 წ. № 153

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი [illegible] «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული.

### სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

ქუთაისში კვირას, 12 ივლისს,

იოსებ დიანოსის ძე აბზიანიძის

გარდაცვალების ორმოცე დღეს გადახდილ იქნება პეტრე-პავლეს ეკლესიაში წირვა და პ.ნაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მარიამ პავლეს ასული და ვალერიან იოსების ძე აბზიანიძენი. (1—კვ.—1)

შემთხვევით იყიდება ორ სართულიანი სახლი

მატერიალნი ქ. № 10. წყნეთის ქუჩის ახლოს პირობების გაგება შეიძლება იქვე. (3—334—1)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

კაბინეტი კბილის საექიმო ა. ა. თათევოსოვი

(ყოფილი თანაშემწე ლ. მტრეისერისა) რაზიეზჟაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—8)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—9)

ექიმი ვ. ღამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი ა. ს. ალადაშვილი ბორჯომში,

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ერუსლოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—9)

შპალიერი ძმ. ტარნოპოლების ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

განყოფილება ტფილის.: გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (25—6. 17)

საზაფხულო თეატრი და ბაღი თავ.-აზნაურობისა

რესტორანი ამხ—ბა „იუჟანესი"

ყველაზე უფრო გრილი ადგილი ქალაქში არის „უზარმაზარ კაკლებს ქვეშ". განსაკუთრებული პავილიონი, დიდი აუზები და შადრევანები.

შეიძლება დაკვეთა სადილებისა და პიკნიკებისა. 2-დან 4 საათამდე და 9-დან 2 საათამდე უკრავს სიმებიანი ორკესტრი გ. ნ ფალიაშვილის მესამის ლოტბარობით. სადილები ორი კერძისაგან—60 კაპ., სამი კერძისაგან—80 კაპ., 4 კერძისაგან—1 მან. ფასები ზომიერია.

ბაღში შესვლა უფასოა. (4—0—2)

## რეალური სასწავლებელი ოზურგეთში

ამა წლის სექტემბრიდან ქალაქ ოზურგეთში უნდა დაარსდეს რეალური სასწავლებელი. საზოგადოებებმა თანხმობა გამოაცხადეს შემოიტანონ 60.000 მანეთი სასწავლებლის ასაშენებლად და 10.000 მანეთი პირველ მოსაწყობად, რომლის შეკრებას საზოგადოებანი უკვე შეუდგნენ. ეს თანხა სასწავლებლის სავსებით მოსაწყობად არ არის საკმაო. ამისათვის, მთელი გურიის წარმომადგენელთა კრების წინადადების თანახმად, სამაზრო სასკოლო კომისიამ დაადგინა, მიიღოს შემოწირულებათ იმ პირთაგან, რომელთაც სურვილი განაცხადეს და აწი განაცხადებენ დაეხმარნენ გურიაში რეალურ სასწავლებლის აღორძინებას.

წარმომადგენელთა კრების და სამაზრო სასკოლო კომისიის დადგენილების თანახმად, შემოწირული ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით:

Въ г. Озургеты, Городскому Старостѣ Бебуришвили для врученія казначею по реальному училищу кн. Димитрію Константиновичу Эристову. (10—2)

ექიმ ვ. ღამბაშიძის

სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—3)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 109)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში

1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სიმხის ქუჩაზე, თოფურიასეულ სავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—15)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა ი. ზ. ჯანტურია

იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე ავჭალის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლო.) (24—310—8)

ახლად გახსნილი ტფილისის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ღამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ზ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—106)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^1/_2$—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირუგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ხუდაბაშევი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ახვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—62)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ლ. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—192)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე

დროებით ქალაქიდან გავიდა. ავადმყოფების მიღებას ენკენისთვის პირველიდან განაახლებს. (10—1)

დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—17)

## ტფილისი, 12 ივლისი

სწორედ ერთი წლის წინად ამ დროს მთელი ევროპა გაკვირვების ნიშნად გადაიქცა: მოუვიდა პირველი ცნობები ოსმალეთში რევოლიუციის დაწყებისა და პოლიტიკურ რეჟიმის შეცვლის შესახებ. არავის არა სჯეროდა, ყველა სკეპტიციზმით გაიმსჭვალა და დღე-დღეზე მოელოდნენ საშინელ ამბებს სისხლის ღვრაზე, ერების შეტაკებაზე და რევოლიუციის უმოწყალოდ შემუსვრაზე. „ავადმყოფი ადამიანი" სასწაულს ვერ მოახდენსო და, რა-კი შეინძრა, უეჭველია—მისი აღსასრულის დღე დამდგარა და ევროპაც გახდება საშინელ ტრაგედიის მოწამეო. მაგრამ, ესეთი სასოწარკვეთილი სკეპტიციზმი უადგილო გამოდგა: სისხლის ღვრის მაგიერ მოვიდა ცნობები საერთო ენტუზიაზმის შესახებ, მოვიდა ამბები, რომ ერები, გუშინ ურთიერთის მოსისხლე მტრები, ძმურად ეხვევიან ერთმანეთს, რომ მთელი ოსმალეთი გაიტაცა ერთმა დიდებულმა კეთილშობილურმა გრძნობამ, რომ რეაქციონერები ხელად დაფრთხნენ და გადაიკარგნენ. მოხდა საოცარი ამბავი: „ავადმყოფი ადამიანი" ენერგიულად წამოდგა ფეხზე, უკუაგდო ყოველივე ძველი და ახალგაზდურის აღტაცებით შეუდგა ახალს ცხოვრებას. მოხდა ისტორიაში უმაგალითო ამბავი: სისხლ დაუღვრელად განახლდა წესწყობილება ისეთ ქვეყანაში, რომელიც ყველას მკვდარი ეგონა და სადაც მრავალ წლობით, საუკუნოებით გამეფებული იყო მტარვალობა, ძალმომრეობა, შუღლი, სასტიკი მოქალაქობრივი და ეროვნული ბრძოლა.

ეს დიდებული ამბავი ახალგაზდა ოსმალთა პარტიამ შეამზადა 30 წლის გმირულის, თავგანწირულის მოღვაწეობით და მოახდინა საკვირველის ტაქტით. ახალგაზდა ოსმალთა პარტიამ მოახერხა მოუხერხებელი: გამოსძებნა ისეთი პლატფორმა, რომელმაც შეიერთა არა მარტო ოსმალთა სხვა და სხვა ჯგუფი და ელემენტები, არამედ მრავალ ფერად აჭრელებული ოსმალეთის ერები...

1908 წლის 11 ივლისი შესანიშნავ ისტორიულ დღედ გადაიქცევა არა მარტო ოსმალეთისათვის, არამედ მთელი ევროპისა და მთელ აღმოსავლეთისათვის. ევროპაში ამ დღიდან აღარ დარჩა სახელმწიფო, სადაც სახალხო წარმომადგენლობა არ იყოს; აღმოსავლეთი-კი ამ აქტმა შეანძრია და ღრმა ძილისაგან სამუდამოთ გამოარკვია. ოსმალეთის და სპარსეთის გამოღვიძება იწყებს ახალ ხანას მაჰმადიანთა აღმოსავლეთში, ხოლო იაპონია ჩინეთის აღორძინებასთან ერთად ოსმალეთის და სპარსეთის გამოღვიძება იწყებს ახალ ტომს კაცობრიობის ისტორიაში...

ივლისში დაწყებული ოსმალეთის რევოლიუცია მწყობრად და მშვიდობიანად მივიდა დეკემბრის დღეებამდე. 4 დეკემბერს უკვე შეგროვდა ოსმალეთის პარლამენტი და დაიწყო ძნელი მუშაობა ქვეყნის გასაახლებლად. დიდის ენტუზიაზმით მიეგება ოსმალეთი პარლამენტის გახსნასაც და ყველა გაიმსჭვალა ნდობითა და იმედით. ახალგაზდა ოსმალნი მომზადებული პარლამენტარიებიც გამოდგნენ და საოცარის ბეჯითობით, ტაქტით და გამჭრიახობით შეუდგნენ ერთობ ძნელ სახელმწიფო საქმის აღსრულებას. მათმა გამჭრიახობამ იხსნა ახალგაზდა კონსტიტუცია ქიამილ-ფაშის შეთქმულებისაგან და საიმედო მიმართულება მისცა საკანონმდებლო მოღვაწეობას.

ასე მწყობრად მიდიოდა საქმე 31 მარტამდე. ამ დღეს-კი მოხდა ამბავი, რომელმაც შეაშფოთა ყველა მეგობრები ოსმალეთისა და რომელმაც კვლავ გააცოცხლა ძველ ევროპის სასოწარკვეთილი სკეპტიციზმი ოსმალეთის მიმართ. სტამბოლის გარნიზონმა,—წაქეზებულმა სულთანისა და რეაქციონერებისაგან, აგრეთვე იმ ლიბერალებისაგანაც, რომელთაც ახალგაზდა ოსმალთა პარტიის წინდახედულება და გამჭრიახობა ვერ გამოიჩენს,—მოახდინა აჯანყება. პირველის შეხედვით, საქმე ცუდათ იყო; რეაქციას თითქო მთელი ოსმალეთი შეეპორკა და ახალგაზდა კონსტიტუცია სისხლში უნდა დაეხრჩო. მაგრამ, 18 დღის შემდეგ ახალგაზდა ოსმალთა ძლევამოსილი ჯარი უკვე მიადგა სულთანის რეზიდენციას. რეაქცია ერთის მძლავრის დაკვრით იქმნა ძლეული და ვერაგი, მატყუარა დესპოტი ტახტიდან გადმოაგდეს. მთელი ოსმალეთი ისევ ერთმა დიადმა გრძნობამ გაიტაცა და ძველი ურწმუნო ევროპაც დარწმუნდა, რომ „ავადმყოფი ადამიანი" მტკიცედ დამდგარა ფეხზე და უეჭველად განიკურნება ძველის სენისაგან...

ამ მკვდრეთით აღდგომას დღესასწაულობს დღეს, „უსისხლო რევოლიუციის" წლის თავზე, ოსმალეთი და მთელი განათლებული კაცობრიობაც თანაგრძნობით უერთებს თავის მილოცვას ოსმალთა სასიქადულო და სახელოვან სადღესასწაულო შეჯლისს. მთელ განათლებულ კაცობრიობის ჭეშმარიტი დემოკრატია გამსჭვალულია სურვილით, რომ 11 ივლისს ოსმალთა ხალხისაგან დაწყებული დიადი საქმე კეთილად დაგვირგვინდეს, რომ ოსმალთა ხალხმა მალე მოიგერიოს ის ათასი ყვავ-ყორანნი, რომელნიც ყოველ მხრიდან შემოსევიან, და დაეწაფოს ახალს ცხოვრებას...

## ბრძოლა თავისუფლებისათვის სპარსეთში

### დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ივლისი

**თავრიზი.** კონსულებმა, გენერალმა სნარსკიმ, რუსის ჯარის სხვა უფროსებმა და ევროპიელთა კოლონიის წარმომადგენლებმა ოფიციალურად მიულოცეს სასახლეში გუბერნატორს ალაკაპს ახალ შაჰის სულთან-ახმედს ტახტზე ასვლა.

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**რეშტის ენჯუმენის პროკლამაცია.**

„კასპს" ატყობინებენ რეშტიდან: ადგილობრივმა რევოლიუციონურმა კომიტეტმა სპარსეთის ყველა ქალაქში გაგზავნა დაბეჭდილი პროკლამაცია. კომიტეტი სწერს ამ პროკლამაციაში, რომ რუსის ჯარს ადგილის დაჭერა არა სწადიან სპარსეთში და რა წამს სპარსეთი დამშვიდდება, რუსის ჯარი რუსეთში დაბრუნდებაო. კომიტეტი სთხოვს ხალხს, დამშვიდდით და რუსის საქონლის წინააღმდეგ ბოიკოტი მოსპეთო.

**გენ. სნარსკის რაზმი.**

„ბაკუს" ატყობინებენ პეტერბურგიდან: „ოსმალეთი, გერმანიის გავლენით, დიდ ინტრიგებს ეწევა სპარსეთში რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ რუსის დიპლომატებს ნაადრევად მიაჩნიათ გენ. სნარსკის რაზმის გაყვანა თავრიზიდან. როდესაც ოსმალეთი გაიყვანს თავის ჯარს ურმიიდან, მაშინ რუსეთიც გამოიყვანს თავრიზიდან გენ. სნარსკის რაზმსა."

**რუსეთმა აღიარა ახალი შაჰი.**

9 ივლისს რუსეთის საელჩომ შეატყობინა სპარსეთის ახალ მთავრობას, რომ რუსეთის მთავრობამ ახმედ მირზა სცნა სპარსეთის შაჰადაო.

**სელამი და ჯარის პარადი.**

8 ივლისს შაჰის სასახლეში დიდებული სელამი გადაიხადეს. ახალი შაჰი ფანჯარასთან დაჯდა ბრილიანტებით მორთულ ოქროს სავარძელზე და მის წინ ქუჩაში გაიარა ჯარმა. პარადში მონაწილეობას იღებდა ლიახოვი რუსის აფიცრებით.

ამ პარადის შემდეგ სამხედრო მინისტრმა სეპეხდარმა ჯარი დაათვალიერა თოფხანის (არსენალის) მოედანზე.

**სად იცხოვრებს მამედ-ალი.**

რუსეთის მთავრობამ ჯერ ვერ გადასწყვიტა საბოლოოდ, სად დაასახლოს შაჰად ნამყოფი. მამედ-ალი ამბობენ, რუსეთის მთავრობა თავის ფულით იყიდის შაჰისთვის შუვალოვის მამულს ყირიმშიო.

**ლიახოვი არ დარჩება სპარსეთში.**

სპარსელების დელეგატს იზმაილხანს ლონდონში შემდეგი დეპეშა მოუვიდა თეირანიდან:

„ლიახოვი არ დარჩება სპარსეთის სამსახურში. ჯარის ინსტრუქტორებად მოიწვიეს რუსის სხვა აფიცრებიო."

**კაჯართა დინასტია.**

კაჯართა დინასტია მე-18 საუკუნის დამლევს გამეფდა სპარსეთში. კაჯარნი თურქები არიან ტომით. ამ დინასტიის დამაარსებელნი იყო ნიჭიერი, მაგრამ ამასთანავე საშინელი სისხლის მსმელი აღა-მაჰმედ-ხანი, ანუ მამედ-შაჰი. რომელმაც 1794 წელს დაამარცხა თავისი მეტოქე ლუთფ-ალი-ხანი. ბოროტმა მაჰმედ-შაჰმა აწამა თავისი მეტოქე და ქ. ქირმანის მცხოვრებნი ქალები, რიცხვით 20 ათასამდე, სულ მონებად გააყიდვინა, ხოლო იქაური კაცები ან მოაკვლევინა ან დაახოცვინა, რადგან ალი-ხან ქირმანში იყო გამაგრებული. იმის დასამტკიცებლად, რომ მისი ბრძანება სწორედ იყო შესრულებული, აღა-მამედ-ხანს 7,000 გამოთხრილი თვალი მიუტანეს და სისხლის მსმელმა შაჰმა თავის ხელით დათვალა ეს თვალები. ასეთივე საზარელი გულქვაობა გამოიჩინა მან 1795 წელს საქართველოში, რომელიც არ დაემორჩილა მას. საქართველოს აკლების შემდეგ მამედ-შაჰმა ორ წელიწადს-ღა იმეფა. იგი მოჰკლეს 1797 წელს ქალ. შუშაში, როდესაც ხელმეორედ ემზადებოდა საქართველოს ასაკლებად. მაჰმედ შაჰმა სპარსეთის სატახტო ქალაქად შირაზის ნაცვლად თეირანი გამოაცხადა.

მის შემდეგ სპარსეთის ტახტზე ავიდა მისი ძმისწული ფეტ-ალი-ხანი, კაცი ზარმაცი და უდარდელი. იგი სწერდა უხეირო ლექსებს და განთქმული იყო თავის შესანიშნავ წვერით; იმისთანა გრძელი წვერი მთელს სპარსეთში არავის ჰქონდა. იმის დროს სპარსეთი ორჯელ ეომა რუსეთს და ორივე ომი სპარსეთის დამარცხებით დასრულდა. პირველმა ომმა, რომელიც საქართველოს გულისთვის მოუვიდათ სპარსეთსა და რუსეთს, თითქმის ათ წელიწადს გასტანა და დასრულდა 1813 წ. 12 ოქტომბერს გულისტანის საზავო ხელ შეკრულობით. მეორე ომი (1826—1828 წ) დასრულდა თურქმანჩაის ხელ შეკრულობით, რომელსაც 1828 წ. 10 თებერვალს მოაწერეს ხელი და რომლის თანახმად ერევნის და ნახჩევნის სახანოები რუსეთის ხელში გადავიდა.

ფეტ-ალი-ხანის შემდეგ მეფობდა მისი შვილი-შვილი მამედ 2. (1834—1848), რომლის დროს დაიწყო ბრძოლა რუსეთსა და ინგლისს შორის სპარსეთში ბატონობის გულისთვის და ამ ბრძოლამ გასტანა 1907 წლამდე, როდესაც ინგლისმა და რუსეთმა შეთანხმება შეკრეს ერთმანეთთან.

მამედ მეორეს შემდეგ ტახტზე ავიდა ნასრ-ედინ შაჰი (1848—1896 წ.), რომელმაც რამდენჯერმე იმოგზაურა ევროპაში. სპარსეთის სამღვდელოება ძლიერ უკმაყოფილო იყო იმით, რომ შაჰი-ქრისტიანეთა სახელმწიფოებში დაიარებოდა; მას ეშინოდა, ვაი თუ შაჰმა ახალი ევროპიული წესები შემოიღოს სპარსეთშიო. მაგრამ ნასრ-ედინ-შაჰს ფიქრადაც არ მოსვლია რაიმე რეფორმების შემოღება. მან თავი ისახელა მხოლოდ ბალბიდების უდიერ დევნით. იგი მოჰკლეს 1896 წ. აპრილს აბდულ აზიმის მეჩითში თეირანს ახლო.

ნასრ-ედინ-შაჰის შემდეგ მეფობდა მისი ვაჟიშვილი მუზაფერ-ედინი—(1896—1906), ამანაც რამდენჯერმე იმოგზაურა ევროპაში. მის დროს სპარსეთში დააწესეს ევროპის მსგავსად საფოსტო დაწესებულებანი, საბაჟოები და სხვა. თავის სიკვდილის წინად მუზაფერ-ედინმა, ხალხის მოთხოვნილებით, კონსტიტუცია გამოაცხადა და მეჯლისი შეკრიბა.

მუზაფერ-ედინის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი მამედ-ალი-შაჰი, რომელმაც თავი ისახელა მეჯლისის განადგურებით, კონსტიტუციის მოსპობით და ხალხის წარმომადგენელთა წამებით. 3 ივლისს რევოლიუციონერებმა იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და სპარსეთის შაჰად მისი 12 წლის ვაჟი შვილი ახმედ-მირზა გამოაცხადეს. მამედ-ალი შაჰმა სულ $2^1/_2$ წელიწადს იმეფა.

ყაჯართა დინასტიისთანა უნიჭო და უხეირო დინასტია სხვა არა ჰყოლია სპარსეთს. ალა-მამედ-ხანის შემდეგ ამ დინასტიაში ფხიანი და გამჭრიახე ხელმწიფე აღარავინ გამოსულა. ვნახოთ ამას იქით რაღა იქნება...

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ივლისი

### ო ს მ ა ლ ე თ ი

**სტამბოლი**. საბერძნეთის ელჩმა დიდ ვეზირს გადასცა, რომ ახალი სამინისტრო ოსმალეთთან მეგობრულ კავშირს განამტკიცებსო. დიდმა ვეზირმა სთქვა, იმედი მაქვს, ყველაფერი ეს საქმითაც განხორციელდებაო.

**ლონდონი**. დეპუტატთა პალატა. პალატის შეკითხვაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ სთქვა: კუნძული კრიტოსი ოთხ სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ რჩება. სახელმწიფოები შემდეგშიც მოვალენი იქნებიან, დაიცვან ოსმალეთის უზენაესი უფლებანიო.

**ლონდონი**. ოსმალეთის პარლამენტის დეპუტაციის პატივსაცემლად მთავრობამ საუზმე გამართა გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ, სხვათა შორის, სთქვა: ინგლისი გულწრფელი მეგობარია ოსმალეთისა და სასურველია, რომ ეს მეგობრობა შემდეგში არ დაირღვესო და უფრო განმტკიცდესო.

**სტამბოლი**. კონსტიტუციის წლის თავის დღესასწაულია. დილა ადრიან აუარებელი ხალხი გაემგზავრა თავისუფლების გორაკისკენ. ამ გორაკზე ძეგლს აუგებენ თავისუფლებისთვის თავდადებულთ. დილის 9 საათზე მოვიდა სულთანი. სულთანმა ძეგლის საძირკველი ჩაჰყარა. ჯარმა იმის წინ მარშით გაიარა. 11 საათზე სულთანი სელიმლიაკზე წავიდა. დღესასწაულს დაესწრნენ: ტახტის მემკვიდრე იუსუფ-იზზედინი, ეგვიპტის ქედივი, უცხო სახელმწიფოების წარმომადგენელნი, ბოლგარიის ჯარის დეპუტაცია და სხვები. საღამოსთვის დოლმაბაჩეს სასახლეში დანიშნულია სადილი, რომელზედაც სხვა და სხვა პირები არიან მიწვეულნი. ამას გარდა, ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტი ილდიზში ნადიმს გამართავს. ღამე ბოსფორი და ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი**. დეპუტატთა პალატა. გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს მუშათა პარტიის წევრმა, დეპუტატმა გენდერსონმა სიტყვა წარმოსთქვა. გენდერსონი შეეხო რუსის ხელმწიფეს, რომელსაც აზრად აქვს ამ ცოტა ხანში ინგლისში მივიდეს. ორატორმა სთქვა: აშკარაა, რუსის ხელმწიფეს აზრადა აქვს ოფიციალურად ეწვიოს ინგლისს. აშკარაა ისიც, რომ ხელმწიფეს დიდის ამბით დაუხვდებიან, ეს საბუთს მისცემს ბევრს იფიქროს, ვითომ ჩვენ ქვეყანაში ხელმწიფეს თანაუგრძნობდნენ და ვითომ მას ხალხის სურვილითა და თანხმობით ეგებებოდნენ. ასეთი პოლიტიკა ინგლისის ხალხის პროტესტს გამოიწვევს. მე და ჩემი მეგობრები ვფიქრობთ, რომ რუსის ხელმწიფე და მთავრობა პასუხისმგებელნი არიან იმ სამწუხარო ამბებისათვის, რომელიც რუსეთში ხდება: მრავალი ხალხი ჩამოახრჩეს და დახვრიტეს და მრავალიც სატუსაღოებში დაამწყვდიეს. წინანდელმა ოფიციალურმა თავაზიანობამ ჩვენის მხრივ ვერავითარი გავლენა ვერ იქონია რუსეთის პოლიტიკაზე, ამიტომ ჩვენი ეხლანდელი მთავრობა მოვალეა გამოუცხადოს რუსის ხელმწიფეს — სტუმართ-მოყვარეობას ვერ გაგიწევთ იმ დრომდე, სანამ რუსეთი თავის შინაურ საქმეებს არ მოაწესრიგებსო. თუ ინგლისის მთავრობა ვერ შეძლებს უარ-ჰყოს ის ბრალდებანი, რომელიც რუსის პოლიტიკას ადევს, მაშინ მუშათა პარტია მოითხოვს, რომ იმის პროტესტს პალატამ კენჭი უყაროსო. გენდერსონს პასუხი გასცა გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ. მან სთქვა: ჩვენი საქმე არ არის ვიკითხოთ ის, თუ რა ხდება სხვა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში. მოვიწონებთ თუ დავიწუნებთ სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეებს—ორივე შემთხვევაში ჩვენი საქციელი საწყენი იქნება ამ სახელმწიფოსთვის. პალატა ვერ შეუდგება სხვა სახელმწიფოთა საქმეების განხილვასო. შემდეგ გრეი შეეხო იმ ცნობებს რუსეთის შესახებ, რომელიც გენდერსონმა კრაპოტკინის წიგნიდან მოიყვანა. ეს ცნობები მართალი არ არისო. გენდერსონს უნდა,—სთქვა მერე გრეიმ,—რუსის ხელმწიფეს სტუმართ-მოყვარეობაზე უარი უთხრათ მაშინ, როდესაც ევროპაში დანარჩენი სახელმწიფონი დიდის პატივით მიიღებენ ამასთან ეხლა. როცა რუსეთში უკვე შემოიღეს კონსტიტუციონური წეს-წყობილებაო. გრეიმ გაიხსენა რუსის დეპუტატების სტუმრობა და ის, თუ რა პატივით მიიღო ინგლისმა დეპუტატები. ჩვენ მივიღებთ ხელმწიფეს,—სთქვა გრეიმ,—როგორც მეთაურს დიდ სახელმწიფოსას, რომლის მთავრობასა და ხალხთან გვსურს ვიქონიოთ მეგობრული განწყობილებაო. გრეის შემდეგ ილაპარაკა დეპუტატმა ბელლოკმა, მან სთქვა: ხელმწიფე რუსის ხალხისთვის ნაციონალური სიმბოლოა. ყოველი შეურაცხყოფა, რომელსაც მეთაურს მივაყენებთ, საწყენი იქნება მთელი ხალხისათვისაც, იმ ხალხისათვის, რომელიც მომავალში რუსეთის დემოკრატიას შეადგენსო. კიერ-ჰარდიმ განაცხადა: ის ცნობები საპყრობილეებსა და სიკვდილით დასჯილთა შესახებ, რომელიც გენდერსონმა მოიყვანა, ამართლებენ მუშათა პარტიის პროტესტს. მას შემდეგ, რაც ინგლისის მეფე რეველში (რუსეთში) იყო, საქმეთა ვითარება რუსეთში უფრო უკან წავიდა და წინანდელზე უფრო მეტი სისასტიკე გაბატონდაო. ამ საგანზე კამათის შემდეგ შეიტანეს წინადადება გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის შემცირების შესახებ. ეს წინადადება შეტანილ იქმნა, როგორც პროტესტი ხელმწიფის მისვლის გამო. წინადადება უარ-ყოფილ იქმნა 187 ხმით წინააღმდეგ 79 ხმისა. უმცირესობას შეადგენდნენ ირლანდიელი ნაციონალისტები, მუშათა პარტიის წევრნი და რამდენიმე რადიკალი.

**მადრიდი**. ოფიციალური ცნობით ესპანიელებისთვის 7 და 8 ივლისის ბრძოლაში მოკლავთ 33, დაუჭრიათ 59 კაცი.

**პარიზი**. 9 ივლისს პრეზიდენტმა ფალიერმა ბრიანს წინადადება მისცა ახალი სამინისტრო შეადგინოს. ბრიანი პრეზიდენტს თავის პასუხს 10 ივლისს აცნობებს.

**კელნი**. „კელნიშე ცაიტუნგს" ადის-აბებიდან ატყობინებენ: ნეგუსი ძალიან ავად არის. საქმეებს დედოფალი ტაიტუ განაგებს. რამდენიმე კვირის განმავლობაში ტაიტუ ნებას არ იძლეოდა, რომ ნეგუსი ექიმებს გაესინჯათ. ამან აბესინელები ძალიან გააბრაზა, საქმე იქამდის მივიდა, რომ დედოფალი ტაიტუ ამ დღეებში იძულებული გახდა სასახლიდან კრება ცხენოსანთა რაზმით გაეფანტა. ეხლა დედოფალი დასთანხმდა, რომ ნეგუსი ექიმებმა გასინჯონ, მაგრამ უარი განაცხადა, თავდებად ვერ დავდგები, რომ ნეგუსის მოკვლას არავინ განიზრახავსო. ნეგუსის მომხრე პირები სასახლიდან განდევნეს. აბაშეთის ჩრდილოეთ ნაწილში შეტაკება მოუვიდათ ნეგუსის და ტაიტუს მომხრეებს. დაიჭრა და მოკვდა 150 კაცი.

**ზაგრები**. სახელმწიფო ღალატის საქმეში სამი ვექილი დისციპლინარულის წესით დასაჯეს. ბრალდებულების სასარგებლოდ ამერიკაში 30,000 დოლარი შეჰკრიბეს. საფრანგეთის მეჭდვირთა-სიტყვის მოღვაწეებს მიმართეს, ბრალდებულთა მხარე დაიჭირეს.

**ნიუ-იორკი**. ქალაქის ტენასსა და გოუსტანში დიდი ხანძარი ამოვარდა. გოუსტანში სულ გააფუჭა ტელეგრაფის მავთულები და ბოძები. ჯერ-ჯერობით გამოირკვა, რომ მოკვდა 18 და დაშავდა ოცი კაცი. ზარალი ერთ მილიონ დოლარს უდრის.

**ლონდონი**. სახელმწიფო უწყების სტატს-სეკრეტარმა ლორდთა პალატაში შეიტანა კანონ-პროექტი, რომლითაც სამხრეთ აფრიკის ახალშენები უნდა შეერთდნენ.

ჟურნალ „ინდიან-სოციოლოგისტის" გამომცემელს არტურ გორსლეის სასამართლომ ოთხი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა. ჟურნალში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ხალხს იწვევდა არეულობის მოსახდენად.

**კენისბერგი**. 9 ივლის ხოლერით გარდაიცვალა ამერიკელი. ამერიკელი რუსეთიდან ჩამოვიდა.

### რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი**. დილით, რაზიეზდნი ქუჩაზე დაინგრა ინჟინერ ზალემანის სახლი. სახლს ახლად აშენებდნენ. დაიღუპა რამდენიმე კაცი. სახლის ნანგრევებიდან ჯერ-ჯერობით 2 მუშის გვამი ამოიღეს. ჰფიქრობენ, რომ 40 მუშა უნდა დაღუპულ ყოს. ნანგრევების თხრა ჯერ-ჯერობით შეაჩერეს, რადგან ეშინიანთ, სახლის სხვა ნაწილები არ ჩამოინგრესო.

**რიგა**. ქალაქის განაპირა უბანში, ერთ სახლში პოლიციას უნდოდა დაეპატიმრებინა ბოროტ-მოქმედი. ამ უკანასკნელს ჰბრალდებოდა ორი პოლიციელის მოკვლა და მოსკოვის უნივერსიტეტის გაცარცვაში მონაწილეობის მიღება. ერთი წლის წინად ეს უკანასკნელი დარაჯებს გაექცათ. ბოროტ-გამზრახველმა მოჰკლა პოლიციელი. სროლის დროს ბოროტ-გამზრახველიც მოჰკლეს. დააპატიმრეს სახლის პატრონი.

**ფეოდოსია**. დაიწვა კრიმის თამბაქოს ქარხანა. ქარხანა 140,000 მანეთად იყო დაზღვეული.

**პეტროზავოდსკი**. ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია სახელმწიფო საბჭოს ყოფილი წევრი საველიევი.

## კაი ყმა

**ხევსურულ ჰანგზე.**

კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო,
ნათქვამი არა გვცხვენოდეს,
მსმენლის გულს აბორგოვებდეს,
არავის არა სწყენოდეს.
ვინა? ვინ არი კაი ყმა?
ვის ტანზე ხმალი ჰშვენოდეს?
მიდით, იქ მიდით, სადაცა
ხალხი ხალხზედა ღელავდეს:
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ მტერსა,
ხმლები, ხანჯრები ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს;
ფარების დაადგეს ჯღრდეები,
თვალები თვალებს სწველავდეს.
მოციქულობდენ ტყვიანი,
შუბები შუბებს სწვერავდეს;
ჰიაფრად მეზარადებსა
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს,
დაგელაობდეს სიკვდილი,
სუდარაებსა ჰკერავდეს.
ვინც მიეგებოს მტერს წინა,
წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,
სახე-სისხლ-გადამდინარი
ტკივილს არ გამოიტყოდეს.
თავ-ზარსა სცემდეს სიკვდილსა
ზედ ქორებულად ფრინავდეს,—
სიცხეში სიოდ დაჰბეროს,
დაათბოს, როცა ჰყინავდეს
პირველად ომის დამწყები
ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს.
სხვანი იყოფდნენ ნადავლსა
ის ისევ მტრის წინ გვრგვინავდეს.
მიძღვნილსა საუფროსოსა
ამხანაგებსვე სწირავდეს.
დარაჯად ედგას ლაშქარსა
როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს.
სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს;
ცდუნება არა სძირავდეს.
მტრის ჯავრის ედგას ლოგინი,
მტრის ჯავრი საბნად ჰფარავდეს.
იქ იდგეს ხმალ-აწვდილი
სადაც ძალა ალმართს ჰკვალავდეს,
გაბეჩავებულს სიმართლეს
უსამართლობა სძალავდეს.
სხვისა იუბნოს სახელი,
თავის გარჯასა ჰმალავდეს.
მზედ იდგეს ხევსურეთისა
უხვად შუქს ჩამოჰლალავდეს.
სჯობ მოკვდეს მშიერ-ტიტველი,
კვდებოდეს? არა გმინავდეს.
თავის სამარხად, სუდრადა
მარტო სახელსა სწირავდეს.
ვადლეგრძელებდეთ ცოცხალსა
მკვდრისა ვსვათ შესანდობარი.
წყლული სცნას დედის კოცნადა
თავის ლოგინად—სამარი,
საკაცე—თავის ლურჯადა
ქვა ლოდი—ნაბდად საფარი:
ქალისა, რძლისა ქვითინი,
ეგონოს სიცილ-ხარხარი.
დენა ცრემლისა—ხორხოშა
ღრუბელთა გადმონაყარი.
ხულეთს*) შავიდეს ხმლიანი
ლაღი ლაღისა ცხენითა.
წინ მიუძღოდეს არწივი
ხმით მოყაშხაშე, ფრენითა.
ქება უყივლონ გმირებმა
გადასრულებმა ჩვენითა.
ერეკლემ ხელი მაჰხვიოს,
დაისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი
მცინარი, თავის ფეხითა.
გახარებული უფალი
კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზეცითა,
ანგელოზები ხარობდნენ,
ალ-ქაჯნი იყვნენ წყენითა.
აი ვინაა კაი ყმა
მოსაგონარი ქებითა.
არა თქვენ, სადიაცენო,
რო ძროხებივით სძღებითა.
ღამე მაძღრები დასწვებით,
დილით მშივრები სდგებითა.
თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ
არც როს არ გამასდგებითა,
თავისად სცოცხლობთ მცონარედ
ლეში ალალოთ კვებდითა
გაიგებთ კარგის გარჯასა
გწყინსთ და შურითა ხდებითა,
უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა
დაჰკარგავთ საქაოსა
ვერც საიქიოს სწვდებითა,
არ იცით დასჩნდით რისადა
ან რისათვისა ჰკვდებითა!..

**ვაჟა-ფშაველა.**

*) ხაიქიო

## სასაფლაო

ვუძღვნი თანამემამულეთ.

სიჩუმე მუნჯი ყრუ და ბრმა...
საფლავის ქვები... ხის ჯვრები,
არც მოძრაობა არც რამ ხმა!..
მკვდრები და მკვდრები... სულ მკვდრები!..
განვშორდი... გამოვექეცი
სიკვდილის მხარეს მწუხარეს,
თავდავიწყებით მივეცი
ცხოვრების ტალღას მქუხარეს:
ცოცხლებს ვეძებდი... ძლიერებს...
ვნატრობდი ბრძოლის ძახილსა,
ქვეყნის დამხსნელ მხნე გმირებს,
მათ ღვთისგან ნაკურთხ მახვილსა!
ვნატრობდი მეფე არწივებს,
ელვისა მკვესავ მათს თვალებს,
ვნატრობდი იმათ ბუდე-მთებს
და თავისუფალ მწვერვალებს!..
მაგრამ ეჰ!.. გმირთა გმირთ ნაცვლად
გზად ჭია-ღუა მხვდებოდა!..
გაჰქრა იმედი... გაჰქრა მთლად...
მეცინებ-მეტირებოდა:
თვალებში ყვავ ყვავ მხოლოდ ბრბო
ცოცხალ მკვდართ მეჩხირებოდა!
ცხოვრებაც დაგუბებულა
აშმორებულ ტბად ქცეულა,
გონება დასუსტებულა
სირცხვენესაგან ძლეულა!..
მახვილიც, ლაჩართ ღალატით,
ნაკუწ-ნაკუწად მტვრეულა!
მთანიცა დამდაბლებულან,
მეფე არწივნი გამწყდარან,
ყვავები გამრავლებულან —
წმიდა ტაძრებზედ შემსხდარან!..
ლაღობენ ინდაურები
იჰიმებ-იბერებიან...
მომკვდარან ბედაურები;
ვირები ემკვიდრებიან!..
მივბრუნდი... გადავეხვიე
გმირთა მდუმარე საფლავებს,
და მოწიწებით ვემთხვიე
ბრძოლით დამაშვრალ მათსა ძვლებს!..
ჰე, გმირნო, ყოველს თქვენს ძვალში
ძალას მეტს ვხედავ გრძნეულში,
ვიდრე თავმომწონ ცოცხალში,
მის უსიცოცხლო სხეულში.

**კ. მაყაშვილი.**

## სამშობლოში

ღრუბელი მიდის, მიიზლაზნება,
ხან იკუმშება და ხან იშლება,
ხან ვით ხომალდი მიჰქრის ტალღებში,
ხან ნამავს ტყე-ველს, ძირს იცრემლება.
კავკასიის მთა დინჯი, ამაყი,
მწვანე ქულაჯით, თეთრის გვირგვინით,
გრგვინავს ბობოქრობს, ვით მეფეთ მეფე
უჩინარ ხელით მაშველი ჯაჭვით.
მოჰქრის ღვართქაფი იმის მკერდიდამ,
ლოდი ლოდს მოსდევს, ქვა ქვას ეხლება,
მის გამოლმა კი გომბორის წვერვალს
მშვიდად მზის სხივი ეალერსება.
და ალაზანი, [illegible]
კვალად ჭიაურს*) ჩაუდუდუნებს,
გულ გადაშლილი ქრელი მინდორი
ღრუბელში თავის სახეს უყურებს.
გაჰხედე ტურფავ, ეს არის ჩემი
პირველი სატრფო, ეს მეცოლება,
გულით უცვლელი არ გამცვლის სხვაში,
ასევ უცვლელად მეც მეყვარება.
გაჰხედე ტურფავ, რა ლამაზია,
რა ამაყია და რა გულლაღი,
აი ლხენება, მაგრამ ნამდვილი,
აი სამოთხე, ედემის ბაღი.
და არ გაიკვირდე, თუ იმას, ვით შენ,
წამოეტანოს ვინმე ქურდულად,
შენი დარაჯი იმის წარმტაცსაც
ხელში ლახვარით დაუხვდეს მტრულად!

**ი. ევდოშვილი.**

*) ჭიაური—დიდი ტყეა, ალაზნის პირს.

## სამი ხმა

1.

წამი ტრფობისა, შვების მომცემი,
კვლავ გმირადა მხდის და მასულდგმულებს;
უფსკრულს შთანთქმულსა ზეცას მიმაფრენს,
მირჩენს იარას,—გულის ღრმა წყლულებს!
არარაობას, სოფლის სიმწარეს,
ვით წარსულს ტანჯვას, ჰკლავს და მავიწყებს;
ხან გზასა მიკვლევს სამოთხისაკენ,
ხან კი საბრალოდ სულსა აყივნებს!..

2.

მოვკვდები, შთავალ შავსა სამარეს,
ვისაც ვეტრფოდი—არ დამიტირებს;
ბრბო უგუნური გადიხარხარებს
და ჩემს სიკვდილსა ჭაობს ახარებს;
მაგრამ მე კვალად აღვზდგები მკვდრეთით,
სიკვდილს დავსთრგუნავ უკვდავი სულით,
ნაზი ბუნება თვის ხორცს შემასხავს,
დავსტკბები ლხენით და სიყვარულით!
მაშინ შენც, ტურფავ, ჩემში იცხოვრებ,
ერთმანეთს გრძნობით შევეთანხმებით;
ჰანგი დაგვატკბობს ორივეს ერთად,
ციური ხმებით მოვიხიბლებით!..

3.

ჯერ არ მენახე, მაგრამ მიყვარდი,
ოცნებით თავსა დაგტრიალებდი;
გეძებდი—გპოვე, პირს მარიდებდი,
ტრფობით გიმზერდი, სულს ახარებდი!..
მაგრამ როს მითხარ: „მეც მიყვარხარო"!
და გადმიშალე გრძნობა ცხოველი;—
შენი ალერსი აღარ მატკბობდა:
ძვირფასი იყავ მიუწვდომელი!

**ა. მანშიაშვილი.**

მოსკოვი. ქალაქის თვითმმართველობამ გადასწყვიტა კოლცოვის იუბილეისთვის გამოსცეს მისი თხზულებანი. სულ გამოიცემა 50,000 ცალი.

**ხოლერა**

**პეტერბურგი.** 9 ივლისს ხოლერით ავად გახდა 71, გარდაიცვალა 27, მორჩა 48, ავად არის 797.

**ნოვგოროდი.** ქალაქის ახლო-მახლო ადგილებში ხოლერით ავად გახდა რამდენიმე კაცი.

**შაკლი.** მაზრაში ავად გახდა ერთი კაცი. დაბა რადზივილიშკაში ხოლერით გარდაიცვალა რკინის გზის კონდუქტორი.

**რიგა.** ხოლერით ავად გახდა 9, გარდაიცვალა 2 კაცი.

**არხანგელსკი.** 8 და 9 ივლისს ავად გახდა 21 გარდაიცვალა 13 კაცი,

**კოსტრომა.** კინეშმენის და იურიევის მაზრებში რამდენიმე კაცი გახდა ავად.

**მოსკოვი.** საავადმყოფოში მოიყვანეს ხოლერიანი ქალი. ქალი პეტერბურგიდან ჩამოვიდა.

**რეველი.** ესტლიანდიაში ავად გახდა ერთი კაცი. ბალტიის ნავთ-სადგურში ავად გახდა ერთი მუშა.

## მეურნეობის დაცემა სოფელში

მეურნეობა ძალზე შეფერხდა სოფლად. ვისაც კი მოუვლია ჩვენი სოფლები, ის დაამოწმებს, რომ სოფლად უწეს-რიგობაა. სოფელი მოწყობილობით არაფრით არა ჰგავს იმას, რასაც განათლებულ სახელმწიფოებში ვხედავთ.

ჩვენი მეურნე-მეკომურნი მიწურ დარბაზებში სცხოვრობენ, ოთხკუთხივ დახშულნი არიან და სანათურიც-კი ბანიდანა აქვთ, ასე მოწყობილი სადგომი დარბაზები ჯანმრთელობას ართმევს, ჰბადავს სხვა და სხვა სნეულებას და არაფრით არ ეთანხმება ჯან-მრთელობის სწავლა-მეცნიერების მოთხოვნილება—ჰიგიენას. ერთი კომლი მეორე კომლს ეკედლება დარბაზითა და ბოსლით. არსად ფართო ეზო, არსად ქუჩა, არსად მოედანი, არსად სკოლა, არსად აბანო, უაბანობით გლეხები ოფლით იწვიან. ოფლით და კომლით იმათი პერანგები იელენთება და ყროლდება, უჩნდებათ მაინც ქინარები, პერანგებს და ტანისამოსს, როცა შესწუხდებიან, თორნეებში იბერტყავენ. უმრავლესობა სალდათის დაფხრეწილ ფარაჯით არის შემოსილი. ბევრი პირდაპირ გლახას მიემსგავსება.

ჩვენი გლეხობა აღარ ემსგავსება მამა-პაპას არც დარბაისლობით, არც ზრდილობით, არც შრომით, არც გამჭრიახობით, არც ტანთ-საცმელით ჩოხით, შარვლით, ქუდით, ახალუხით. ჯალაბობა უქსოვდა უწინ შალს საჩოხედ ქმარსა და შვილებს უკეროვდა ყველაფერს კაბწია შესამოსელად.

სანამ კაცი არ მიადგება სოფელს, ვერ გაიგებს, სოფელშია თუ სხვა ალაგას. სოფელს ერთი ბოხჩა ადგილი უჭირავს და აქ შეჯგუფულა რამდენიმე კომლი, სცხოვრობს ბინძურად. ნუ თუ არ უნახავთ ან ქალაქ ტფილისში, ან სხვაგან გერმანელების კოლონიები, წესიერად მოწყობილი და გაშენებული?! როდესაც მდინარე ივრის პირას, სოფელ სართიჭალის მახლობლად, გერმანელები დასახლდნენ, იმ სოფელში ქართველი მეკომურები მიწურ დარბაზებში სცხოვრობდნენ. გერმანელებს მიეცათ სადგომად სახელმწიფო ადგილები, სახნავ-სათესი და სათიბი მიწები. ეს ადგილები თავიანთ შორის გაიყვეს, გააკეთეს სიგანით ორი საჟენი ქუჩა, ამოიღეს ამ ქუჩის ორ მხარეს წყლის სადენი არხები და ორივე მხარეს მწკრივად დასახლდნენ. ააგეს ეკკლესია, სკოლის სახლი, პურის ამბარი, დასდგეს თავიანთთვის ერთ-სართულიანი სახლები, ბოსლები, გააშენეს ვენახები, ბაღები, ბოსტნები და აირჩიეს მამასახლისი, რომელსაც იმათ ენაზე შულცს ეძახიან. შულცი და იმათი მღვდელი, პასტორი ნამდვილი მამები არიან ხალხისთვის. იმათ რჩევას და დარიგებას ემორჩილებიან. მრუშობა, ზარმაცობა და ავაზაკობა იმათში სასტიკად განდევნილია. გერმანელები ყოველ მხრივ მოეწყვნენ და გაშენდნენ. ასე გასინჯეთ, ქართულიც კი შეისწავლეს. ჩვენები კი ისევ მიწურებში ბეჩავად სცხოვრობენ, გერმანელებისაგან ვერაფერი ვერ მიიღეს, ვერ ისარგებლეს.

რა დაემართა სართიჭალელ ქართველებს, რად დარჩნენ ბეჩავად? ნუ თუ ქართველი ისეთივე ღვთის გაჩენილი ადამიანი არ არის, როგორც გერმანელი? ბეჩაობის მიზეზად ქართველ გლეხს ის მოჰყავს, რომ გერმანელებს უფრო მეტი მიწა უჭირავთ, ვიდრე ჩვენაო. ამ სიტყვებს, რასაკვირველია, თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ბევრში კი სიმართლეს მოკლებულია ცარიელი მიწა რას უშველის მეურნეს, თუ იმას ის ცოდნა, გამოცდილება და ხერხი არა აქვს, რაც იმის მამულს ეჭირვება და შეჰფერის. უცოდინარობა და უწეს-რიგობა სოფელში არის მიზეზი მეურნეობის შეფერხებისა და სწორედ აქ უნდა დახმარება გლეხს, ჩვენი სოფლები რომ წესიერად იყოს მოწყობილი, ისინიც გერმანელების წეს-რიგს მიიღებენ.

ეს ნაკლი სოფლისა მართებლობამ და საზოგადოებამ უნდა შეავსოს, უჩვენოს მეურნეთ ნამდვილი გზა კეთილ-მსვლელობისა და წეს-რიგისა. ამ სიტყვით ჩვენ გვსურს გამოვთქვა ის აზრი, რომ ტფილისის გუბერნიის მაზრები სამეურნეო ნაწილებად უნდა დაიყოს. თითო ნაწილს მიჩნეული უნდა ჰყავდეს თეორიით და ვარჯიშობით შესმენილი კაცი, განვითარებული, კარგად გამოცდილი მეურნეობაში, გულმოდგინე და ბეჯითი სურვილი, რათა მცირედ მაინც დაეხმაროს სოფელს, გამოიყვანოს სიბნელიდან, დაუახლოვდეს მეურნეთ, შეისწავლოს იმათი ადგილ-მდებარეობა, იმათი წარმოება, მისცეს დარიგება და უჩვენოს მეცნიერული საშუალება ამა თუ იმ სამეურნეო დარგის გასაძლიერებლად. მოვალეობას, დანიშნულებას უნდა შეადგენდეს მოწყობა საცდელ მინდვრებისა და სანერგეებისა რჩევა-დარიგების მიცემა სამეურნეო იარაღის შეძენასა და ხმარებაში. სანერგეში და საცდელ მინდვრებში უნდა აჩვენოს ხალხს წესიერად მოვლა მამულისა და პირნახულისა; მოუხერხოს, რომ უფასოდ ან მცირე ფასით იქვე იშოვებოდეს საუკეთესო ჯიშის ნერგები ხილეულობისა და ფესვიანი მწვანეულობისა და სხვა.

რადგან ჩვენში ერობა ჯერ არ არის შემოღებული და, ამ მიზეზისა გამო, შეიძლება ჩვენ მიერ აქ გამოთქმული აზრი ამაოდ დარჩეს, ამისთვის კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას შეუძლიან ისარგებლოს მეშვიდე მუხლით სამეურნეო წესდებისა და, სადაც ჯერ არს, აღძრას შუამდგომლობა, რომ მართებლობამ დაჰყოს მაზრები ტფილისის გუბერნიისა სამეურნეო ნაწილებად და ამა კანონის ძალით (1, 7, 15, 17, 28 и 47 п. XII, ч. II. уст. с. х.) სთხოვოს დანიშნონ განვითარებული და ვარჯიშობით მცოდნე ინსტრუქტორები. ამ ინსტრუქტორებს ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლიანთ სოფლად.

**ილია წინამძღვრიშვილი.**

## ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **კიდევ იარაღი და არა-ლეგალური ლიტერატურა.** გუშინაც განაგრძეს ჩხრეკა პუშკინის ქუჩაზე, ტფ. საკრედიტო საზოგადოების სახლში. გაჩხრიკეს აგრეთვე სადგომი ნეიმლერის სავაჭრო სახლისა და საწერ მაგიდის ყუთში ნახეს შემდეგი იარაღი: 1 წიგნაკი „სახალხო თავისუფლების პარტიისა“, 4 პატრონა ოთხ ხაზიან რევოლვერისა, სია იარაღისა და აფეთქებულ ნივთებისა; 2 საპასპორტო წიგნი, სამი ბლანკი პასპორტების დასამზადებლად ბეჭედ დაკრული, ლითონის ორი ბეჭედი, ერთი ღია წერილის ბლანკი, რომელზედაც დახატულია ყუმბარით მოკლული კაცი, 1 მოწოდება პარტიათა და ორგანიზაციათა 7 მოწოდება რუსულ ენაზე, 7 მოწოდება ქართულ ენაზე ს.-დემოკრატულ პარტიისა ტფილისის კომიტეტისა, 116 მოწოდება რუსულ და 34 ქართულ ენაზე ს.-დემოკრატიულ პარტიისა, 5 პატარა ყუთი შრიფტით სავსე, 156 პატრონა ნაგანისა და 70 პატრონა ბრაუნინგისა და სხვა. იქვე ნახეს ანგარიში ს.-დემოკრატიულ პარტიულ კრებისა. დააპატიმრეს სავაჭრო სახლის გამგე, ერთი ნოქარი და ორი მეკურტნე მუშა.

✦ **მაჰმადიანთა ეროვნული ბანკი.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, რამდენსამე მაჰმადიან კაპიტალისტს გადაუწყვეტა რუსეთში დაარსონ მაჰმადიანთათვის ბანკი. ბანკის წესდება უკვე შემუშავებულია. ბანკს თავის განყოფილება, სხვათა შორის, ტფილისშიაც ექნება. გაზეთ „ზემშჩინას“ სიტყვით, ბანკმა დახმარება უნდა გაუწიოს მაჰმადიანებს.

✦ **სამღვდელოების კრება.** როგორც გავიგეთ, ამ ახლო მომავალში მოხდება ქართლ-კახეთის ეპარქიათა სამღვდელოების დეპუტატთა კრება.

✦ **ჩამოხრჩობის ნაცვლად კატორგა.** როგორც ვწერდით, სენაკის საქმის გამო 11 კაცს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს. ჩამოხრჩობა შეუცვალეს კატორგად: ციბაძესა და სირიზანიშვილს—20 წლით, იასონ ჩიხლაძეს—15 წლით, შალამბარიასა და სოსელიას—12 წლით, ან. და ის. ფიღავებს—10 წლით და სარდანიას და პატარაიას—8 წლით, სტუდენტს კ. ქავთარაძეს მიესაჯა 3 წ. ციხეში დაპატიმრება.

✦ **ახალი რუსული გაზეთი.** გუბერნატორმა ნება დართო ჰუსეინ მინასაზოვს გამოსცეს ტფილისში რუსულ ენაზე ყოველ დღიური გაზეთი „ახალი გაზეთი“.

✦ **გაზეთები.** „ბატუმსკ. ნოვ.“-ს სიტყვით, ქუთაისში გადაუწყვეტიათ გამოსცენ მეორე ყოველ დღიური გაზეთი. გაზეთს სახელად „ქუთაისის ფურცელი“ ერქმევა. ამას გარდა შემოდგომიდან განზრახულია რუსულ გაზეთის გამოცემაც.

✦ **ბაქოს გრადონაჩალნიკი მარტინოვი.** ამ რამდენიმე ხნის წინად გაზეთ „კასპ.“-ს კისლოვოდსკიდან დეპეშით ატყობინებდნენ, რომ ვილაცებმა მარტინოვის მოკვლა განიზრახესო. ეს ამბავი ტფილისის ზოგიერთმა გაზეთებმაც გადაბეჭდეს, როგორც „ბაკუს“ გაუგია, ეს ამბავი მართალი არა ყოფილა.

✦ **კრება.** 10 ივლისსაც მოხდა სხდომა ერობის შესახებ კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში. ამ სხდომაზე აღიძრა საკითხი მასალის შეკრებისა და შემუშავების შესახებ. სხდომამ საჭიროდ დაინახა კომისიის არჩევა. კომისია სექციებად დაიყოფა. სექციები მასალასაც შეჰკრებენ და ამა თუ იმ საკითხსაც შეიმუშავებენ. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ბ-ნ ქალანთარი, სააკოვი, გ. ნ. დიასამიძე, ა. ყიფშიძე, ვ. ი. რცხილაძე, ხუნუნცი, დემიდოვი, სოკოლოვი, ტიმოფეევი, თავ. აფხაზი, გ. თუმანოვი, დანდუროვი და მიუზალოვი.

✦ **უპასპორტოები.** ერევნის მოედანზე 9 ივლისს ჩხრეკის დროს დააპატიმრეს უპასპორტო 20 კაცი, მადათოვის კუნძულზე კიდევ 38 უპასპორტო კაცი დააპატიმრეს.

✦ ამ დღეებში „ტფ. ლისტოკ“-ში პატარა წერილი იყო დასტამბული. წერილის ავტორი საბადოსნო სკოლის შესახებ სწერდა: სკოლაში არც ანგარიში აქვთ შედგენილი, არც რიგიანად არის საქმეები ნაწარმოები და სხვა ეს წერილი ტყუილის წამებად მიუღია საბადოსნო სკოლის გამგეს ბ-ნ მელიას და გადაუწყვეტია „ლისტოკის“ რედაქტორი და მისი თანამშრომელი პასუხის გებაში მისცეს,

✦ 9 ივლისს პოლიციის მე-2 ნაწილში დააპატიმრეს საგენერალ გუბერნატოროდან გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული სარქის ტერუნოვი, რომელიც პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

## ჩემი შენიშვნა

ჩემ მიერ გაზეთ „დროების“ საკვირაო დამატებაში დასტამბულმა ლექსმა „შრუდი ბერას ომი ქისტებთან“ თ. რაზიკაშვილს ეჭვი აღუძრა, იგი ხალხური არაა, ვიღაცის ნაწარმოები უნდა იყოსო,—ასეა პატივცემულ ამხანაგის წერილის შინაარსი, მოთავსებული ამავე გაზეთის ერთ ერთ ნომერში.

კარგი და პატივი! ხოლო კი უნდა გავუწყო ხალხურ ხელოვნების მოტრფიალეს თქვენს, რომ ამისთანა ეჭვი ჩვენ მიერ დასტამბულ ლექსებზე არა ახალია, ძველია. როდესაც პირველი ლექსი „ხომალდში ჩაველ გზას გავედ“ „დროებაში“ დაიბეჭდა, ბევრს მოეწონა და, წარმოიდგინეთ, დაბეჭდვის შემდეგ უბიაც დაჰქონდა. ბევრს დაუეჭვებივარ ქუჩაში, ამოუღია გაზეთი და კითხვა მოუცია: „ჰაცო, ნუ თუ ეს ხალხურია“-ო. ტფილისში თავ. გ. ამირეჯიბს და გ. დიასამიძეს ესევე ლექსი წაუკითხავს მოხუცებულ კნეინა-ჯამბარეჯიანის დედისათვის. ძველებურ ოჯახის შვილს და მქონეს ეთქვა: ეს ლექსი გამიგონია, უწინ ამას მღეროდნენო. მაგრამ ვისგან მოუსმინა და რა ხანა და გარემოება იყო—ეს ვერ დაუსახელებინა და, თქვენცნით არ მიკვირს, ან კი როგორ იტყოდა ამას. „დროების“ თანამშრომელს, ზ. ბიდანაშვილს უთქვამს ჩემთვის: ეგ ლექსი მეც მაქვს ჩაწერილიო. არ ვიცი, სულაც აქვსო ჩაწერილი ეს ლექსი, თუ რამდენიმე მუხლი, ხოლო ძალიან შესაძლებლად მიგვაჩნია იგი კიდევ ვისმეს ჩაეწეროს და სასურველია, დასტამბოს გაზეთში, ვარიანტების შესადარებლად მაინც.

ხოლო რაც შეეხება ჩვენ მიერ დასტამბულ ამ ლექსის ვარიანტს, უნდა ვთქვა, რომ იგი ჩავწერე სოფ. ერთაწმინდაში, სოფიო სალხინაშვილისაგან. ამ შესანიშნავ მანდილოსანზე ცნობებსაც გაუწყებთ, იგი მართლაც აღსანიშნავია: მოხუცი, ჩვენი მეზობელი მოძიჯნავე იყო, ახლაც მომიჯნავენი არიან მისი შვილები. თავის თავს 120—140 წლისას ასახელებდა. ლეკებისაგან ქართლის აწიოკება კარგად ახსოვდა: თავს რომ დაგვესხმოდნენ ხოლმე,—მე ქმარი მყავდაო,—დამმალავდნენ ხან ქვევრში, ხან თონეში, ჩავიკეტებოდით ხან ეკკლესიაშიო და სხვა. ჯან-ღონე გამოლეულ მოხუცს მარტო სახლისა და პატარების თვალ-ყურის გდება ებარა შვილებისა და რძლებისგან. ისიც იჯდა მთელი დღე, ეჯდა მუხლზე ბაღანა და უმღერდა ლექს. საკვირველი თვისება ამ შესანიშნავ დედაკაცისა ის არის, რომ სულ ლექსით დაპარაკობდა. ატყარებული ხალხი ეხვია თავს კვირა-უქმეობით და უსმენდა სხვა და სხვა ლექსს. ამას დაამოწმებს მთელი ერთაწმინდა და მისი შვილის შვილებიც. რომ გკითხა: სოფიო, სად ისწავლე მაგდენი ლექსები,—მოგიგებდა, ჩემი ძმა უნდა მოგესმინა, მაშინ აღარას მკითხავდიო. ხოლო მისი ძმა, როგორც თითონ ამბობდა, მესტვირე ყოფილიყო, ძალიან უვლარდათ თურმე თავადიშვილებს და ტაბიდ მოსაზანდრეს თითქმის ერთმანეთს ეცილებოდნენ. პირადად მე ძალიან მომწონდა მისი მოსმენა; დავიპატიჟებდი ამ მანდილოსანს და ან თბილ პურზე ან ერთ ჭიქა ღვინოზე ვაამბობინებდი სხვა და სხვა ლექსს. ამისგან ჩავწერე ლექსები „ხარატაულო გუბეო, ცრემლით ვავსებ უბეო“; „დაბრუნდი თუ დაბრუნდები, ვით ხარატიანთ ჯარაო“; „წამოვიდა თამაზ-ხანი, წამოიღო მთა და ბარი, ჯერეთ ურიმი აიღო, განჯას შემოარტყა, ჯარი „ათპალე რომ დაიჭირეს, უკან გაუკრეს ხელია“. ამავე მანდილოსანმა დამაჯერა ერთ კვალზე, რომლითაც, ჩემის რწმენით, უნდა იხელმძღვანელოს ამა დარგის მკვლევარმა. სახელდობრ ის, რომ ყველა ხალხურ ანდაზას, როგორადაც ხალხურ თქმულ შოიას, თავისი წინამავალი რამე თქმულება ჰქონია; ხოლო ჟამთა მსვლელობაში ეგ ლია, ყველია და თქმულების შემთხვევა ჩამოყალიბებულა აფორიზმად, ერთ ან რამდენიმე მოკლე წინადადებად. მაგ., რამ მისცა საბუთი ხალხს, როცა სთქვა: ღმერთი როგორც გაჩენს კაცს, ისე დაარჩენსო. ან კიდევ: ქათამი რომ მამალს წყალს დალევს, ღმერთს შეჰხედავსო და სხვა... ვამბობ, მკვლევარი უნდა ეძიოს, ხელთ იგდოს გასაღები ამ თქმულება-აფორიზმებისა. ამ მხარეს, თუ არა ვცდები, დღემდე არავინ შეხებია. რამდენიმე მაგალითი ჩვენც გვაქვს ჩაწერილი ზემო მოსაზების დასასაბუთებლად, რომელსაც ვეცდებით მალე გაგაცნოთ მკითხველს.

სიტყვა კი გაგვიგრძელდა, მაგრამ ახლა ვიკითხოთ: როგორ მოხდა რომ ეს შესანიშნავი ლექსი მოხუც კნეინასაც გაუგონია, რაც ადვილად შესაძლებელია, ზ. ბიდანაშვილსაც ჩაუწერია და ამ წერა-კითხვის უვიცმა დედაკაცმაც იცოდა და მეც იმისაგან გადმოვიღე? სანამ ამის პასუხს მიიღებდეთ, უნებლიეთ იკითხეთ: ვინ იყო ამისი მოქმედი! ამისი გაგება კი ამაო ცდა იქნება! ერთი კიდევ. თ. რაზიკაშვილი იმავე ფელეტონში ერთ ლექსზე გვითითებს, სახელდობრ „ვერცხლისა თასათ მაქცია“,—ვითომ იგი ერთ მანდილოსანს რაღაც საზღაპრო საყვარელისა გამო ვაჟისადმი ეთქვას. იმ მანდილოსნისა კი რა მოგახსენოთ და ეს ლექსი არც ისეთი საიდუმლოება, როგორც ვისმეს ჰგონია. შეიძლება რომ თქვენ, ან სხვამ ეს ლექსი პირველად იმ მანდილოსნისაგან გაიგონა, მაგრამ ვინ უწყის, რომ იგივე ლექსი იმ მანდილოსანზე უფრო ძრიელ შეუვარებულმა მიჯნურმა არ უმღერა თავის მიჯნურს? აი, ცოტა რამ ცნობაც: ალექსანდრე თარხნიშვილი, როგორც ძველებური თავადიშვილი ქართლისა, ყველას გაგგონებს. გაეგონებათ რამე იმის ოჯახზედაც, მის მეუღლეზე—ქალი ჩქვიანი, დარბაისელი. აი ამ ძველებურ ქართულ ოჯახში ჰყავდათ აღმზრდელი, რომელსაც უწოდებდნენ—მონავარდისას. ჩვენ ოჯახს, მამაჩემს, როგორც მღვდელს, მსვლელობა ჰქონდა ამ ოჯახში. დაიარებოდნენ აგრეთვე ისინი ჩვენსა. ბევრჯელ წირვის შემდეგ, სიშორისა გამო, მონავარდისა ჩვენსა დარჩენილა სადილად. იცოდა, რომ მე რუსეთში სიმღერას ვსწავლობდი და ხშირად უთქვამს: აბა, ჩემო ია, ვინძლო ძველებური სიმღერები არ დაივიწყო, აი თუნდ ესაო და იტყოდა ლექსს. ერთი მის მიერ თქმულ ლექსთაგანი იყო „ვერცხლისა თასათ მაქცია“. დიდი-დედა მყავდა, მანდილოსანი ნამუსიანი და მომსმენი, ფრიად დიდი მოლექსე. ჩვენ იმის დაზრდილები ვართ. აი, ამ ადამიანს ბევრჯელ უთქვამს ჩემთვის ზემო ხსენებული ლექსი და მრავალი სხვაც. იგი ძველებური ოჯახის ქალი იყო—მატებერაშვილებისა, გათხოვილი თავად აბაშიძეზე იმერეთში. „ვეფხის-ტყაოსანს“ თავიდან ბოლომდის ისე იტყოდა, როგორც „მამაო ჩვენო“-ს. მეტყოდა ხოლმე: შვილო, აი ეს არ არის მოთავსებული „ვეფხის ტყაოსანში“-ო. ერთი მის მიერ თქმული ნაწყვეტი მეც კარგად მახსოვს, რომელიც ბოლოში მომყავს ნიმუშად და იმედია მსურველი იპოვის ადგილს, საიდან უნდა იყოს ამოგლეჯილი ეს თუ ის მუხლი.

**ი. კარგარეთელი.**

(დასასრული იქნება)

## ქურდობა ვითომდა „სამეცნიერო აზრით“

(მცხეთის ჯვარის მონასტრიდან მიცვალებულთა ძვლებისა და ნაწილების გატაცების გამო).

სოფელ მცხეთის პირდაპირ მაღალ გორაკზე ოდესმე დიდებულ მონასტრისაგან ახლა ერთი საყდარიღა დარჩენილა, რომელსაც ჯვარის მონასტერს ეძახიან, თუმცა მთელ მონასტრის კრებულს ორი შემთხვევით მისული ბერი შეადგენს—ილარიონი და პეტრე. აქ ამ დღეებში ერთი საყურადღებო ამბავი მოხდა.

ასე შუაღამის მესამე საათი იქნებოდა, როცა მონასტერში ამოვიდა ორი ყმაწვილი კაცი და გამოუცხადა ბერებს, ჩვენ სტუდენტები ვართ, სამეცნიერო აზრით ვმოგზაურობთ, ძველ მონასტრების და საყდრების სურათებს ვიღებთ და გთხოვთ ამ მონასტრის ჩუქურთმების და მხატვრობის გადაღების ნება მოგვეცითო. ბერები, რასაკვირველია, დაყაბულდნენ, მაგრამ როგორღაც საეჭვო პირებად მიიჩნიეს მოსულები, რადგან ჯვარის მონასტრის ალმართზე ბნელ ღამეში ამოსვლა „მეცნიერებისათვისაც“ კი მეტად ძნელია. განსაკუთრებით ურწმუნო გამოდგა მამა ილარიონი, რომელმაც მთელი ღამე არ დაიძინა, რომ ჯეროვნად ყური ეგდო სტუმრების მოქმედებისთვის, და არც [illegible] სამუშაოდ, რადგან სტუმრებმა [illegible] რამეებს [illegible] ლებით არ შეეხებოდა სურათების გადაღებას, და აშკარა იყო, რომ ყველაფერზე ნაკლებ ეინტერესებოდათ ჩუქურთმა და მხატვრობა, რომელთა გადაღებაც თითქოს შეადგენდა მათი მისვლის მიზანს.

შუადღისას ილარიონი საჭირო საქმისა გამო მოკლე ხნით წავიდა მონასტრიდან და როცა დაბრუნდა, სტუმრები აღარსად სჩანდნენ. თითქოს გულმა უგრძნოო, მამა ილარიონი დაუყონებლივ შევარდა საყდარში, იქიდან აკლდამას ეცა და შეჩვეულ თვალებით უცებ შეამჩნია, რომ აკლდამიდან წაღებული იყო რამდენიმე ძვალი და წმიდანის გვამის ნაწილი. გავარდა ეზოში, გადაჰხედა დაღმართს და შეამჩნია, რომ წინაღამეს უბარგოდ მოსული სტუმრები რიღაცით სავსე ტომარას მიარბენინებდნენ ავჭალისკენ. როცა ძახილმა და ყვირილმა ვერ გაჭრა, ილარიონი უქუდო და შინაურ ტანისამოსის ამარა ფეხდაფეხ გამოეკიდა მტაცებლებს და ზემო-ავჭალის მახლობლად წამოეწია. მტაცებლებმა მოტაცებულის დაბრუნებაზე უარი სთქვეს. ხმაურობაზე მინდვრად მომუშავენი მოცვივდნენ და კინაღამ თავისებურად გაასამართლეს მტაცებელნი, მამა ილარიონი რომ არ შეჰხვეწნოდა ხალხს, ამათ ნურას დაუშავებთ და მე მოვარიგებ საქმესაო.

და კიდევაც მოარიგა. ძვლები და წმინდა ნაწილი მონასტერში დააბრუნებინა და თვითონ მტაცებელნი წაასხა მცხეთის ტაძარში, სადაც ამ დროს ტფილისიდან ჩამოსული მღვდლები ერთ საქმის გამო გამოძიებას ახდენდნენ. როცა ერთმა დამსწრე სამღვდელო პირთაგანმა შენიშნა ახალგაზდებს, რომ მათი საქციელი ეკლესიის სიწმინდის შელახვაა და ყოველ შემთხვევაში ქურდობა არ შეშვენის სტუდენტებსაო, მტაცებელნი ძლიერ გაჯავრდნენ, რომ მათ „ქურდობას აბრალებენ“, და ცხარედ ამტკიცებდნენ, რომ პირიქით მათი საქციელი „ჩვეულებრივი მეცნიერული ცნობის და ცოდნის მოყვარეობაა“, რადგან მათ უნდოდათ ძვლები და ნაწილები თან წაეღოთ უნივერსიტეტში, სადაც წელს შედიან, რომ დამსწრეთ არა ესმითრა მეცნიერებისა და სხვა. მტაცებელნი ადგილობრივ პოლიციას გადასცეს ჯეროვან ოქმის დასადგენად. შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი.

მაგრამ მე აქ საქმის სხვა მხარე მინდა აღვნიშნო. ხსენებულ „ნასწავლ“ ახალგაზდებს მონასტრიდან ძვლების და ნაწილების მოტაცება არა თუ ქურდობა არა ჰგონიათ, კიდევაც აშკარად ყოყოჩობენ ამ „მეცნიერულ ცოდნის-მოყვარეობით“. და რადგანაც მეცნიერული ცოდნის მოყვარეობა სასირცხვილო არ არის, ალბად არც იმისა შერცხვებათ ჩვენს ახალგაზდებს, რომ მათ ვინაობას ფარდა ავხადოთ. ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს გამოვაქვეყნო, რომ მტაცებელნი, როგორც თვითონ დაისახელეს თავი, არიან ქ. ტფილისში მცხოვრებნი, მეორე ვაჟთა გიმნაზიაში სწავლა-დამთავრებულნი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე შრეიბერი და პეტრე კაზიმირის ძე კუჩინსკი.

**ახელი.**

## მოწერილი ამბავი

**თელავი.** თელავი განსაკუთრებულ პირობებში სცხოვრობს, ამას გვიმტკიცებს მისი წარსული და აწმყო. არც მომავალი უქადის უკეთესს. აქ საზოგადო, საერთო და სასარგებლო საქმეს ადგილი არა აქვს. მართალია, ბევრი, ძალიან ბევრი რამ დაარსებულ-დაწყობილა, მაგრამ რა? მალე, ძალიან მალე მოსწრაფებია დღე. რათა? რათა და იმისათვის, რომ თელაველები ჯერ არ მიიღებენ ხოლმე მონაწილეობას რომელსამე საქმეში და მერე, თუ მიიღებენ, მაშინვე თავს იჩენს ინტერესები, პირადი ანგარიში და ერთმანეთის მტრობა-ქიშპობა. უსაქმურობა, ზარმაცობა და უინიციატივობა ხომ ყველა საქმეს თანა აქვს დაყოლილი. შეიძლება ვცდებოდე, ღმერთმა ბრძანოს, მაგრამ ვაი რომ უთვალავი ფაქტი სულ სხვას ამბობს.

მერე ნეტა თელავში არ მოიპოვებოდეს ძალა. როგორ არა, არის ინტელიგენცია, მცხოვრებთა შეძლებული ნაწილი, ვგვანან უმაღლეს და საშუალო სწავლით აღჭურვილი პირნი, მაგრამ ესენი ბრტყელი ლაპარაკით არიან ცნობილნი, საქმით კი კისერს არ მოიბრუნებენ, თვალს არ ახელენ: არაფერი დაინახონ...

ასეა თელავის საქმე და ამისთვისაცაა, რომ არც ერთი საზოგადო საქმე, როგორიც გნებავთ, არ არსებობს. ავიღოთ თუნდა წერა-კითხვის ადგილობრივი განყოფილება. განყოფილებათა ინსტრუქცია ჯერ არც-კი დაუმტკიცებიათ, რომ თელავში გადაეწყვიტათ მისი დაარსება, მაგრამ აქნობამდე ვერ განუხორციელებიათ, მაშინ, როდესაც ჩვენი სამშობლოს ბევრ დაბა-ქალაქში დაიწყეს და გაჩარხეს საქმე. ამას მაინცა და მაინც იმდენი მნიშვნელობა არა აქვს. საქმე დაწყობილია, დამფუძნებელთა კრება უკვე მოხდა (3 მაისს), დღეს-ხვალ ნებართვას მიიღებენ და საქმე უნდა დატრიალდეს, მაგრამ თუ თელავის საზოგადოება ისე მოექცა ამ მეტად საჭირო დაწესებულებას, როგორც წარსულ კრებაზე, სჯობია თავი ახლავე დაანებონ, რომ საქვეყნოდ სირცხვილი არა ჭამონ. მართალია, ამ კრებაზე დამსწრენი მთელ საზოგადოებას არ წარმოადგენენ, მაგრამ ადვილად შესაძლებელია მათმა მოქმედებამ განყოფილებას ნდობა დაუკარგოს და მერე გვიან იქნება თითზე კბენანი.

როგორც საზოგადოდ თელავშია მიღებული, ამ კრებაზედაც თავი იჩინა წვრილმანობამ და პირადმა ინტერესმა ნ. მთვარელიშვილმა და მღ. ივ. შიუკაშვილმა იმის მაგივრათ, რომ კრების მიმდინარეობისთვის ხელი შეეწყოთ, ბრალმდებლის როლი ითამაშეს და მთელი სამი საათი ეკამათნენ ბ-ნთ გ. კახიძეს, ალ. ვახვახიშვილს და ივ. პაატაშვილს, რატომ დამფუძნებელთა სიაში ჩვენ-კი არ ჩაგვწერეთო, თქვენ რათა ხართ და არა ჩვენ წევრებად მიღებული წ. კ. მთავარ გამგეობის მიერ და სხვ. და სხვ. რასაკვირველია, ჩვენ ვერც გ. კახიძეს, ა. ვახვახიშვილს და ივ. პაატაშვილს გავამართლებთ სავსებით: ამათ წევრთა ჩაწერის დროს კრება უნდა მოეხდინათ, რაც იმით ახსნეს, რომ ცოტა დრო იყო 4 იანვრამდე და კრების მოწვევა შეუძლებელი იყო. მაგრამ ესეც-კი? კრება მარტო ამ კაცს რათ უნდა მოეხდინა და არა სხვებსაც? ჯერ ხომ გამგეობა არ იყო არჩეული. ერთი რამაა-კიდევ გაუგებარი: ამ კრებაზე ბევრს ისა სწყინდა, რატომ ჩვენც არა ვართ დამტკიცებულ წევრთა რიცხვშიო, მაგრამ ეს ვისი ბრალია? 1879 წლიდან წ. კ. საზოგადოება არსებობს და აქამომდე არც ერთი მათგანი არა ყოფილა ჩაწერილი. ნუ თუ აქაც სხვა ვინმეა დასაშავე?!

კრებაზე დამსწრეთა ერთ წრეს უნდოდა გამგეობის არჩევნები არ შემდგარიყო, მაგრამ არჩევნები მაინც მოხდა, თუმცა ისეთ გარემოებაში, რომ არც ეს უნდა ჩაითვალოს კანონიერად. ჯერ საქმე არ დაწყობილა და უკვე გაჩნდა ჩვენებური ოპოზიცია.

სასურველია ამ უსარგებლო კინკლაობას ბოლო მოეღოს და ყველამ ერთ სულად მოჰკიდოს საქმეს ხელი. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ამ ცოტა ხანში უნდა მოხდეს ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა კრება ამ კრებას უნდა წარედგინოს სია იმათი. ვინც ჯერ მიღებული არ არის, მათაც მიიღებენ და განყოფილებაში მუშაობის და მოქმედების შეძლება მიეცემათ.

ნეიტრალი.

# უცხოეთი

## კლემანსოს სიტყვა.

საფრანგეთის აწ უკვე პირველ მინისტრად ნამყოფმა კლემანსომ თანამდებობიდან გადადგომამდე დიდი სიტყვა წარმოსთქვა პალატაში თავის პოლიტიკის დასაცველად. კლემანსოს მომხრე პრესა მეტად აქებდა მის სიტყვას: ეს მთავრობის ბრწყინვალე გამარჯვება იყოო.

თავდაპირველად კლემანსომ მემარჯვენეებს გაუსწორა ანგარიში, მათ გასცა პასუხი. მან სთქვა: მემარჯვენეებს არავითარი პროგრამა არა აქვთ; ისინი არიან ცრუ-ლიბერალები, გულში მათ სწადიანთ მეფობის აღდგენა, უყვართ დემაგოგობა; პროგრამის ნაცვლად ისინი ხელმძღვანელობენ ბულვარზე შეთხზულ ლოზუნგებით და სხვა.

ამის შემდეგ კლემანსომ უპასუხა მემარცხენეთ. იგი უსაყვედურებს შეერთებულ სოციალისტებს, რომ უკანასკნელ დამატებით არჩევნებში ისინი არ ერიდებოდნენ ცნობილ რეაქციონერების დახმარებას, და ჩამოსთვლის იმ სოციალისტ-დეპუტატებს, რომლებიც არჩეულ იქნენ რესპუბლიკის მტრების წყალობით.

ამ სიტყვებმა დიდი პროტესტი გამოიწვიეს მემარცხენეთა სკამებზე. კლემანსომ ველარ შეიძლო ლაპარაკი, მოკრიბა თავის ქაღალდები პორტფელში და მიატოვა ტრიბუნა. სამაგიეროდ რადიკალებმა ოვაცია გაუმართეს კლემანსოს. მინისტრმა ბრიანმა როგორც იყო დააშოშმინა კლემანსო, რომელიც ცოტა ფიქრის შემდეგ დაბრუნდა ტრიბუნაზე და ლაპარაკი განაგრძო:

— მთავრობა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია: როცა იგი სულგრძელობას იჩენს, მას აბრალებენ სისუსტეს; როცა იგი სასტიკ ღონისძიებას ხმარობს, სთვლიან ულმობელად და უმოწყალოდ. ხოლო როდესაც მთავრობა სასტიკ ღონისძიების შემდეგ იჩენს ლმობიერებას, მას აბრალებენ ულოგიკობას. (დეპუტატები იცინიან).

ამის შემდეგ კლემანსომ პირდაპირ ჟორესს მიმართა:

— განა შეუძლიან ღირსეულ მთავრობას მოითმინოს მუშების ისეთი მოქმედება, როგორი კაა მაგალითად „საბოტაჟი“ (ნაწარმოების და იარაღების გაფუჭება) სახელმწიფო ქარხნებში, ან ქარხნის განადგურება ვინიეში და სხვა? თუ მთავრობა ამ შემთხვევებში სასტიკ ღონისძიებას მიიღებს, განა ეს ულმობლობა ან უმოწყალობა იქნება? განა შეიძლება შეუსაბამობა დავაბრალოთ იმ მთავრობას, რომელმაც ჯერ უარი უთხრა ამნისტიაზე ფოსტის მოსამსახურეებს და მერე კი მარჯვე დროს გამოაცხადა ეს ამნისტია? ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მთავრობა ცდილობდა შემოსავლის დაკვალად გადასახადის შემოღებას. ჟორესი ამტკიცებს, რომ ფინანსთა მინისტრი კაიო გულ-წრფელი მეგობარია ამ რეფორმისა, ხოლო მე, კლემანსო, ვითომ საეჭვო მომხრე ვყო მისი, მაგრამ მთავრობამ ბევრჯელ მოსთხოვა ნდობის გამოცხადება პალატას და კაიო რომ თანამდებობიდან გადამდგარიყო, კლემანსოც არც ერთ წამს აღარ დარჩებოდა სამინისტროს მეთაურად. რაც შეეხება მუშების პენსიას, ან ეს კანონ-პროექტი უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა მიმდინარე საკანონმდებლო სესიის გათავებამდე, ან არა და ეხლანდელი სამინისტრო თანამდებობიდან გადადგება (პალატაში მოძრაობაა).

ამის შემდეგ კლემანსო არღვევს ჟორესის აზრს; ვითომ რადიკალური პარტია კოტრი გამომდგარიყოს. კლემანსო იგონებს: 7—8 წლის წინად გაზეთით ვსთხოვე ჟორესს, რომ მას თავისი პრაქტიკული პროგრამა დაეწერა. ჟორესმა მრავალი წერილი დაბეჭდა, მაგრამ ნამდვილი სწორე პასუხი მაინც ვერ მომცა ჩემს პასუხზე. როცა სამინისტროში შეველ, კიდევ ვსთხოვე ჟორესს, რომ მას თავის პროგრამის შესაფერისი კანონ-პროექტი წარმოედგინა ჟორესი დამპირდა. „მაშინ ვიფიქრე, თუ ჟორესს ნამდვილი უკვდავების წამალი აქვს, მეც საფრანგეთის ხალხს ვურჩევ-მეთქი ამ წამალს. მაგრამ ჟორესმა არ წარმოადგინა ეს კანონ-პროექტი. განა ამის შემდეგ შეიძლება რადიკალების პროგრამის გაკოტრებაზე ლაპარაკი? (ტაშის ცემა). ჟორესის ბევრს წერილში ბრწყინვალედაა აწერილი, თუ რა ბედნიერი იქნება პროლეტარიატი, როცა განხორციელებული იქნება რადიკალურ პარტიის მიერ მოთხოვნილი რეფორმები. რაკი სიტყვამ მოიტანა, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს გარემოება ამტკიცებს სოციალურ რევოლიუციის უსარგებლობას. რევოლიუციის დოქტრინა რი ქიულ გედი, რასაკვირველია, არ მოიწონებს ჟორესის ასეთს წერილებს... უწინ, როცა მე შემოსავლის დაკვალად გადასახადის შემოღებას ვსთხოულობდი, გედი ზიზღით მიცქეროდა და ლაპარაკობდა ჩემ ზე (სიცილი. სოციალისტების პროტესტი).

— ეხლანდელ მთავრობას ეჯავრება მმართველობა ფიზიკურ ან ზნეობრივ ძალ-მომრეობის შემწეობით, მაგალითად, ვსთქვათ, გინდ საარჩევნო რეფორმა. იმაზე ადვილი რა იქნებოდა, რომ მთელს საფრანგეთმა საარჩევნო ოლქები ჩვენის პარტიის სასარგებლოდ გაგვენაწილებინა. მაგრამ მთავრობა არ ჩადის ამას, რადგან ეს უსამართლობა იქნებოდა. ჟორესი ყოველთვის გამოსძებნის ხოლმე გასამართლებელს საბუთებს ვალდეკ-რუსოსა და კომბისთვის, მაგრამ ჩემთვის კი არასოდეს.

კლემანსომ თავისი სიტყვა დაასრულა პალატის უმეტესობის ქებით და სთქვა, რომ ეს უმეტესობა დამშვიდებულის სინიდისით წარსდგება მომავალ არჩევნებში ხალხის წინაშეო.

# რუსეთი

✦ **იოლოსის მკვლელი მუშა ფედოროვი.** რუსეთის გაზეთების სიტყვით საფრანგეთის მთავრობას უარი განუცხადებია ფედოროვის გაცემაზე. ფედოროვს იოლოსის მკვლელობის გარდა, ბრალდება ვიტეს მოკვლის განზრახვა. საფრანგეთის მთავრობა უარს იმით ასაბუთებს, რომ იოლოსის მკვლელობა და ვიტეს მოკვლის განზრახვა პოლიტიკურის მიზნით იყო ჩადენილიო.

✦ **გარტინგის საქმე.** ბერლინში და ბრიუსელში სოციალისტები მოითხოვენ, რომ გერმანიასა და ბელგიაში რუსეთის საიდუმლო პოლიციები აღარ მოქმედებდნენ. სოციალისტებს აზრად აქვთ პარლამენტებში გარტინგის შესახებ შეკითხვა შეიტანონ. (რეჩი).

✦ **დეპუტატი კუზნეცოვი.** „რეჩს“ ეკატერინოსლავიდან დეპეშით ატყობინებენ: ადმინისტრაციამ დეპუტატ კუზნეცოვს ნება არ დართო სახელმწიფო სათათბიროს შესახებ მოხსენება წაეკითხა.

✦ **მღვდლების შუამდგომლობა.** „მთავარ-ანგელოზის კავშირის“ მთავარ საბჭოს ნიჟნი-ნოვგოროდის 41 მღვდლისაგან ვრცელი წერილი მოსვლია. მღვდლები უჩივიან ნიჟნი-ნოვგოროდის საგუბერნიო და ბალახნინის სამაზრო ერობებს, ამ უკანასკნელებმა სამღვდელოების სახლებს საერობო გადასახადი შეაწერესო. მღვდლები შავრაზმელებთან შუამდგომლობენ, გვიშველეთ რამეო. წერილში, სხვათა შორის, სწერია: „მიჰბაძეთ (შავრაზმელებმა უნდა მიჰბაძონ) ძველი რუსეთის მეფეებს, რომლებიც სამღვდელოებას და ქრისტიანეს ისე თავგამოდებით იცავდნენ მაჰმადიანთა თავკასულობისა და დაჩაგვრისაგანაო“!!?!

✦ **სოფლის მასწავლებელთა კურსებზე.** როგორც ვიცით პეტერბურგში უნივერსიტეტის ზოგიერთმა პროფესორებმა მოაწყეს სოფლის მასწავლებელთა კურსები. კურსები უკვე დამთავრდა. მასწავლებლებს უმეტესობას სახარი აღარა ჰქონია, რომ სახლში დაბრუნდნენ. მათ გზათა მინისტრთან შუამდგომლობა აღუძრავთ, უფასო ბილეთები მოგვეციოთ, მაგრამ უარი მიუღიათ. მასწავლებლები შეკრებილან და დაუდგენიათ ხელმეორედ აღძრან შუამდგომლობა.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: პეტერბურგში 4, უფაში 1, კიევში 2, რეველში 1, ოდესაში 2, კამენეც-პოდოლსკში 1 კაცს: სიკვდილით დასაჯეს: რიგაში 1, ვარშავაში 1, მოსკოვში 2, ეკატერინოსლავში 1, ეკატერინოსლავში 3 კაცი.

# განცხადებანი


◀ სიკვდილი ▶

გალლინჯოებს!

ახალი საშუალება „კლოპოვინი“, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი“ ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. რათა სიყალბე არავინ ჩაიდინოს, კლოპოვინი იყიდება მხოლოდ ჩემ მაღაზიაში ტფილისისთვის. (15—ახ.—6)

პირველი კერძო სამკურნალო

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირების გარდა

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ.—1—126)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე შობიადობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—87)

კანტორა და საწყობი

„სპერმატინისა“

და

„ა ლ მ ა ზ ი ს ა“

გადავიტანე ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.

(30—6.—24) ი. ახობაძე.

სასმელის ღვინო

თამარის ქუჩაზე (მე-9 ნაწილი), № 19. მილიპარაკება დუქნის პატრონთან. (6—331—5)

სრული რადიკალური მორჩენა სულ მცირე ხანში

„ტრიპერისა“ (სუსუნაობისა)

პირველად შეხვედრილისა, ქრონიკულისა და ყველა მისი შედეგისა როგორც მამაკაცისა, ისე დედაკაცისა

—◀ ახალ განსაკუთრებულ წამლით ▶—

„სალიუბრინ ბერჟე“-თი.

„სალიუბრინ-ბერჟე“—მეცნიერული პრეპარატია, რომელიც საშინლად გავრცელდა მთელ დედამიწაზე და რომელმაც საუკეთესო ნაყოფი მოიტანა ტრიპერის (სუსუნაობის) წამლობის დროს. „სალიუბრინ ბერჟე“ მომზადებულია პროფესორ ედ. გიუმონდის რეცეპტით. ექიმების მოწმობით, „სალიუბრინ ბერჟე“ ყველა დღემდე არსებულ წამალსა სჯობია. ყოველ დღე აუარებელ მადლობის წერილი მოდის რუსეთის ყველა კუთხიდან და ეს ნიმუშია იმისა, რომ სალიუბრინი საუცხოვო წამალია.

თუ გინდათ ჯანმრთელი იყო, იხმარეთ „სალიუბრინ ბერჟე“.

ფასი 2 მან. 50 კაპ. გაგზავნა საფოსტო ტარიფით. ფას-დადებით 25 კაპ. უფრო ძვირია.

ახლად შეხვედრილ ტრიპერის მოსარჩენა საკმაოა 4 ფლაკონი, ქრონიკულისთვის—6 ფლაკონი. იგზავნება ფასს-დადებით სრული თანხის მესამედის მიღების შემდეგ. სამეცნიერო-პოპულიარული წიგნაკი „სალიუბრინი“ იგზავნება 5 შვიდ-კაპეიკიან მარკის მიღების შემდეგ. ვინც 4 ლოზს გაიწერს, წიგნაკი უფასოდ გაეგზავნება.

წარმომადგენელი მთელი კავკასიისთვის და იმიერ-კასპიის მხრისთვის ი. ახობაძე—ნეკრასოვის ქ., № 14, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

ჩრდილოეთის ამხანაგობა ბერჟე.

СѢВЕРНОЕ ТОВАРИЩЕСТВО БИРЖЕ

Главное единственное Агенство для всей Россіи.

С.-Петербургъ, отдѣленіе фармацевтическихъ препаратовъ.

Отдѣленіе Тифлисъ, Ахобадзе, Некрасовская ул. N 14, близъ памятникъ Кн. Варанцовъ. (Ю—ზალ—3)

!!!ავადმყოფთა საყურადღებოდ!!!

რადგან გაჩნდა ჯანმრთელობისთვის მავნებელი ყალბი სპერმინი, რომელსაც სხვა და სხვა სახელით ასაღებენ, საჭიროა ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოთ სახელს

СПЕРМИНЪ ПРОФ. ДОКТОРА ПЕЛЯ

SPERMINUM POEHL

და მოსთხოვეთ ის, რომელიც ჩაწყობილია პროფესორ დოქტორის პელის და შვილების ორგანოთერაპევტიულ ინსტიტუტის მიერ პეტერბურგში.

რუსულ და საზღვარ-გარეთულ ლიტერატურაში მეცნიერთა და ექიმთა მრავალი მეცნიერული გამოკვლევაა სპერმინის შესახებ. ამ გამოკვლევებიდანა სჩანს, რომ სპერმინი მეტად სასარგებლო წამალია ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურების, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ჭარების, გულის ავადმყოფობის (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, გულის კანკალის, მიოკარდიტის), არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაჩანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს.

ამ მეცნიერთა და ექიმთა წერილები ეხება მხოლოდ პროფესორ დოქტორ პელის სპერმინს.

სპერმინ-პელისა იყიდება ყველა აფთიაქსა და დიდ სააფთიაქო მაღაზიაში: 1) კაპლების მაგვარად (Essentia Spermini-Poehl) 1 ფლაკონი—3 მ., აგრეთვე 2) ამპულებად კანქვეშ შესასხურებლად (Sperminum-Poehl pro injectione) 1 კოლოფი ოთხ შესხურებისთვის—3 მ. და 3) კლიზმებისთვის (Sperminum-Poehl pro clysm) 1 კოლოფი 4 კლიზმისთვის—3 მან.

უფასოდ იგზავნება წიგნი Цѣлебное дѣйствіе Спермина-Пеля (182 გვ.), რომელშიაც მოთავსებულია დაკვირვებანი რუს და უცხოელ ექიმებისა, აგრეთვე „Органотерапевтическій Сборникъ“ (მეორე გამოცემა), სადაც აღნიშნულია პროფესორ დ—რ პელის სხვა ორგანოპრეპარატები, ბ-ნ ექიმებისთვის, თუ მოითხოვენ, განსაკუთრებული სამეცნიერო ლიტერატურა.

ორგანოტერაპევტიული ინსტიტუტი, ქიმიური ლაბარატორია და აფთიაქი

◀ პროფესორ დოქტორ პელის და შვილებისა ▶

პეტერბურგში, ვასილ. კუნძ., 7 ლინია, ს. № 18-268.

უმაღლესი საჩუქარი (Grands Pris) ყველა მსოფლიო გამოფენაზე და საუკეთესო წერილები სამკურნალო ავტორიტეტისა.

(5—მაი.—2) 78775.—Л. и Э. Метцль и Ко.

პროვოდნიკის

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. „ПРОВОДНИКЪ“ РИГА

1897 წ. 1888 1908 წ.

ამხანაგობა

რ ი გ ა შ ი

სადეპოსიტო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● იყიდება ნაღდად და ვალდებით: ●

რეზინის საეკიპაჟო შინები,

პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი“ (წითელი),

პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,

მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.

„პროვოდნიკი“-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.

ვალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების

„პ რ ო ვ ო დ ნ ი კ ი“-სა


სტამბა „სინათლე“ დიდი ვანქის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.